



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 2022 წლის 1 და 2 მარტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 2022 წლის 18 აპრილი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ქუთაისის უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი დონე 7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფერო და კოდი	მედიცინა - 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობითად აკრედიტებული, № 351830, 29.04.2020

¹ ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. თუ ერთობლივი პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით, საიდენტიფიკაციო კოდისა და ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმის მითითება სავალდებულო არაა.

² თუ პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით და პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავებულია, მაშინ მიეთითება შესაბამისი უნივერსიტეტის კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი მერი სკოტი დანდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ჯილდა ჭიშვილი ალტე უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ირინე ფხაკაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ირაკლი გაგუა გაგუას კლინიკის მთავარი ხელმძღვანელი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი აბულაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (UNIK) დაარსდა 1991 წელს და 2018 წლის 2 ნოემბრიდან უსდ-ს 100%-ის მესაკუთრეა შპს ევროპის უნივერსიტეტი.მის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2020 წლის 29 აპრილს. ეს იყო ორწლიანი აკრედიტაცია და ამ ხნის განმავლობაში დიდი სამუშაო ჩატარდა, რათა პროგრამა გამხდარიყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისი. გარდა ამისა, ჩატარდა სამუშაოები პროგრამის განვითარებისთვის დაწესებულების შიდა მარეგულირებელ მექანიზმების ცვლილებებთან თავსებადობის მიზნით. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს დაგეგმვისა და მიწოდების ყველა შესაბამის პროცესს და ეფუძნება პერსონალის, სტუდენტებისა და რეგიონის ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხედულებების ფართო სპექტრს.

პროგრამა 6 წლიანია და სრულდება 360 კრედიტის მინიჭებით 12 სემესტრის განმავლობაში. ის ნაწილობრივ ინტეგრირებულია (ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად) და სტრუქტურირებულია სამ - საბაზისო, პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპად, რათა სტუდენტებმა თავიდანვე განავითარონ კლინიკური აზროვნება და ძირითადი კლინიკური უნარები. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება PBL და CBL მეთოდოლოგიის ნაზავი, ხოლო შეფასებები მოიცავს ტრადიციულ ესეებსა და OSPE/OSCE გამოცდებს პირველ ორ ფაზაზე. კლინიკურ ფაზაში შეფასება ხდება აქტივობებით, რომლებზეც მიმდინარეობს დაკვირვება. აქტივობები

ხორციელდება ბევრ კლინიკაში სხვადასხვა ხელმძღვანელის მიერ, როგორც კლინიკური დანამატის ნაწილი.

შეფასების დროს პროგრამის პირველ კურსზე მცირე რაოდენობის სტუდენტი იყო ჩარიცხული, ხოლო კამპუსში მხოლოდ ერთი სტუდენტი იმყოფებოდა. დანარჩენი 11 სტუდენტი დისტანციურად სწავლობს საკუთარი სახლებიდან ინდოეთში. 11-ვე სტუდენტი პროგრამას შეუერთდა მხოლოდ ბოლო 3 ან 4 თვის განმავლობაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა 2022 წლის 21 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფმა შეარჩია კონკრეტული სტანდარტები, რომლებიც უკეთ შეესატყვისებოდა მათ გამოცდილებას. თუმცა, ყველა წევრმა მიმოიხილა მთელი დოკუმენტაცია და შეარჩია შესასწავლი სფეროები 1,5-დღიანი შეხვედრების გრაფიკის მიხედვით 2022 წლის 1 და 2 მარტისთვის. მიმოხილვა ჩატარდა ადგილზე, ქუთაისის უნივერსიტეტში (ზოგიერთი წევრი ჩაერთო ზუმის საშუალებით). ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებებისთვის და ისინი წარმოდგენილი იყო ვიზიტის დასრულებისთანავე.

1-ლი და მე-2 დღის შეხვედრები: შეხვედრები ჩატარდა დაგეგმილი განრიგის მიხედვით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა შეკითხვები დაუსვა ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის ბოლოს საკუთარი წვლილი შეიტანა ქუთაისის უნივერსიტეტისათვის გამართულ არაფორმალურ უკუკავშირში.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველი და მეორე დღე: ექსპერტთა ჯგუფის 5 წევრიდან ერთმა ვერ შეძლო ფიზიკურად განეხორციელებინა ვიზიტი, თუმცა მობილური ტელეფონის ვიდეო-კამერის მეშვეობით, ყველა წევრმა შეძლო ვიზიტში მონაწილეობის მიღება, რამაც დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტებს და ასევე დისტანციურად ჩართულ წევრს მისცა კითხვის დასმის შესაძლებლობა. დაწესებულებაში ვიზიტის მეორე დღეს მთელმა ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პროცესებში მონაწილეობა ადგილზე. ვიზიტისთვის არჩეული იყო დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონული ცენტრი.

ვიზიტი ჩატარდა კლინიკურ გარემოში, სადაც სტუდენტები შეძლებენ მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პაციენტების ნახვას (პალატის ზონებში, კლინიკის ზონებში, სასწრაფო დახმარების ოთახში), სიმულაციური ცენტრის, ზოგიერთი აუდიტორიისა და საკონფერენციო ობიექტების პარალელურად. განხილული იქნა ფიზიკური შესაძლებლობები თითოეულ სივრცეში მოთავსებული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით.

ასევე მოეწყო ტური ქუთაისის უნივერსიტეტის მთავარი კამპუსის სამედიცინო სკოლის შენობაში, რომელიც მოიცავს სასწავლო ლაბორატორიის ტერიტორიებს, აუდიტორიებს (პატარა და დიდი ჯგუფებისთვის) და მოქნილ სასწავლო სივრცეს, სიმულაციის ცენტრსა და ბიბლიოთეკას. ვიზიტის მონაწილეებმა კვლავ განიხილეს იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება განთავსდეს ამ სივრცეებში.

საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ჩაუტარა მოკლე შემაჯამებელი პრეზენტაცია დასკვნების თაობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფრო დეტალური დოკუმენტი გადაეცემოდა ფაკულტეტს დასკვნის პროექტის სახით. მხარეებმა ორმხრივად გამოხატეს მადლიერება ერთმანეთისთვის გაზიარებული გამოცდილების, ასევე, პროცესით შექმნილი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობისათვის.

დასკვნის პროექტი წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2022 წლის 30 მარტს და უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია გამოგზავნილ იქნა 2022 წლის 13 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაითვალისწინა უსდ-ს პოზიცია და გარკვეული მცირე ცვლილებები შეიტანა რეკომენდაციებში 1.2 და მე-5 სტანდარტებში. ამავდროულად, ჯგუფის მიიჩნევს, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში წამოყენებული სხვა საკითხები არ საჭიროებს საბოლოო დასკვნაში ცვლილებების შეტანას, გარდა გარკვეული ნაწილებისა, სადაც დამატებით ამხსნელი ინფორმაცია იქნა დართული.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთო ჯამში, პროგრამა მეტწილად შეესაბამება რეგულაციებს (იხილეთ ცხრილი 58 გვერდზე), თუმცა არის სფეროები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას, განსაკუთრებით სტანდარტი 2.4, 2.6 და 4.1, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ შესაბამისობაშია. თუ ამ სტანდარტების მოთხოვნები პროგრამის განვითარების ამ ეტაპზე შესრულდება, ეს მოახდენს იმ გამოწვევების პრევენციას, რომლებიც პროგრამის სრულად ამოქმედების შემდეგ გაჩნდება კლინიკურ ფაზაში. ინტეგრირებული პროგრამა სათანადოდ ეფუძნება საგანმანათლებლო პედაგოგიკას, გამყარებულია კურიკულუმითა და შეფასების დიზაინით, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და უმაღლესი განათლების მედიცინის პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან.

სტანდარტი 1

1.1 ქუთაისის უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ მათი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა უნიკალურია რეგიონისთვის, რადგან ეფუძნება ადგილობრივ კულტურულ ნორმებს, თუმცა ადგილობრივ მოსაზრებებთან შესაბამისობას გაამყარებდა ადგილობრივად დაფუძნებული კვალიფიციური გუნდი, რომელსაც გამოცდილებით შეუძლია სრულად გაითვალისწინოს და გაიგოს ეს ადგილობრივი საჭიროებები.

1.2 სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის გაცნობითი/საორიენტაციო ტრენინგი უნდა მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, რაც დაეხმარება ლექტორებს სრულად გაიაზრონ მათი როლი

და წვლილი პროგრამის მუდმივ განვითარებაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

სტანდარტი 2

2.1 რეკომენდებულია მისაღები გამოცდების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტების შესარჩევად.

2.2 რეკომენდებულია ბიოეთიკის საკითხებისა და კომუნიკაციის უნარების სწავლების გადატანა პროგრამის საწყის ეტაპზე (I-II სასწავლო წლები).

2.2 რეკომენდებულია სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო კურსებში.

2.2 რეკომენდებულია კურსების განაწილება ლოგიკური თანმიმდევრობით, კონკრეტულად კი კურსების - პედიატრია I (ისწავლება VII სემესტრში) და პედიატრია II (ისწავლება XII სემესტრში) შეცვლა.

2.2 რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

2.3 საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების განაწილება კურსში; შესავალი კლინიკურ დიაგნოსტიკაში: I და II არ არის თანმიმდევრული და საჭიროებს გადახედვას.

2.4 რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს არსებული გეგმები დიდი რაოდენობით სტუდენტების საავადმყოფოებში განთავსების შესახებ, რათა გათვალისწინებული იქნეს როგორც საავადმყოფოს ფიზიკური ტევადობა სტუდენტების რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, ასევე კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები – ასწავლონ სტუდენტებს სპეციალურ, აუდიტორიის ტიპის სივრცეებში, გადატვირთული კლინიკური ადგილებიდან მოშორებით.

2.4 რეკომენდებულია, რომ კურსი „კლინიკური და პროფესიული უნარები V“ ასწავლონ ექიმებმა.

2.5 რეკომენდებულია PBL და CBL მეთოდოლოგიაში უფრო მეტი ტრენინგი, რათა ყველა ლექტორმა გაიგოს არა მხოლოდ პედაგოგია, რომელსაც ემყარება მეთოდი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოახდინოს პედაგოგმა მისი გამოყენება.

2.6 უნდა შეწყდეს პედაგოგების გამოყენება OSCE-ს შემფასებლებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა და შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება.

2.6 იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია შესაბამისი კლინიკური პერსონალისთვის ინტენსიური ტრენინგის ჩატარება შეფასებაში.

2.6 რეკომენდებულია, რომ სკოლამ გადაჭრას OSCE-ს ერთი სტუდენტისთვის ჩატარების პრობლემა და განიხილოს ვარიანტი, რომ ამ სტუდენტს მიეცეს საშუალება ხელახლა ჩააბაროს OSCE სხვა 11 სტუდენტთან ერთად, რომელიც მალე ჩამოვა, მკაცრი არასაზიანო პოლიტიკის შესაბამისად, რათა ამ სტუდენტის შეფასება ვალიდურად ჩაითვალოს მომავალში.

2.6 იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პირველ ნაკადში სტუდენტების რაოდენობა დაბალია და შესაძლოა 'სტანდარტის დაწესების' აღიარებული მიდგომის ეფექტურობა შეამციროს, საჭიროა გამოირკვეს და დაინერგოს ფსიქომეტრიის სპეციალისტის რჩევები მომავალი OSCE შეფასების განხორციელებამდე.

სტანდარტი 3

3.1 მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა და დიდი ხანი არაა, რაც ისინი პროგრამაზე ჩაირიცხნენ, პროგრამის ზოგიერთი ელემენტის შესახებ გარკვეული გაუგებრობა არსებობდა. კერძოდ, როგორც ჩანს, შეფასების პროცესის გასაჩივრების სისტემაზე შეზღუდული გაგება არსებობდა, რაც ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდა, როგორც მთლიანი არსებული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილი.

სტანდარტი 4

4.1 საჭიროა სამუშაო პროგრამა პერსონალის განვითარების ცხრილის შექმნასთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლინიკური სწავლების სტანდარტებისა და შეფასებების თანმიმდევრულობა, რომელსაც ახორციელებს მთელი პერსონალი, მათ შორის ის თანამშრომლებიც, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ კლინიკურ გარემოში.

4.1 ლოჯისტიკურად რთულია მასწავლებლებისა და მოწვეული პერსონალის დაქირავების გეგმა, რადგან ისინი თბილისში მუშაობენ და სწავლებისთვის რეგულარულად მოუწევთ ქუთაისში მგზავრობა. ეს თავიდანვე სარისკოა, მით უმეტეს სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში. რისკების შეფასება მკაფიოდ განსაზღვრული შემარბილებელი ქმედებებით უნდა ხორციელდებოდეს და ყოველწლიურად განიხილებოდეს მიმდინარე გეგმის ნებისმიერ აუცილებელ ცვლილებასთან ერთად.

4.1 სტუდენტები დაკავშირებულნი უნდა იყვნენ კლინიკური სწავლების სფეროებთან, სადაც არის საკმარისი რაოდენობის საგნის სპეციალისტი პედაგოგი და ზედამხედველი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად კომუნიკაცია.

4.1 მდგრადი გეგმის მისაღწევად, რომელიც შეესაბამება საკმარისი კვალიფიციური (მათ შორის ინგლისური ენის მცოდნე) პერსონალის დასაქმებას სტუდენტების რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან ერთად, ქუთაისის უნივერსიტეტმა მეთოდოლოგიის პროცესში, რომელიც მას გააჩნია პერსონალის რაოდენობის გამოსათვლელად, უნდა შეიტანოს ინგლისური ენის ინდიკატორები.

4.1 პედაგოგების და ზედამხედველების როლი და ფუნქციები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გაზიარებული შესაბამის პერსონალთან, რათა მათ შეძლონ მათთვის განსაზღვრული ფუნქციის შესრულება - დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის უნარებისა და კომპეტენციების მიღწევაში.

4.2 შემდგომი ტრენინგი კლინიკურ შეფასებებში (DOPS/MinCEx და ა.შ.) უნდა ჩატარდეს სწავლების მონიტორინგის ეფექტური მიდგომის შემუშავებასთან ერთად, განსაკუთრებით პროგრამის განხორციელების პირველ წლებში.

სტანდარტი 5

5.3 მმართველი ორგანო და პროგრამის კომიტეტი ჩართულია ყველა ინსტიტუციური და პროგრამული მოთხოვნის შესრულებაში და სტანდარტების მიღწევაში. ამჟამად ეს ჯგუფები იკრიბებიან საჭიროებისამებრ (საკმაოდ ხშირად), თუმცა შეხვედრების უფრო ოფიციალური

განრიგი (წლიური კალენდარი) და თანმიმდევრული ანგარიშგების სისტემები აუცილებელია პროგრამის ეფექტური ხელმძღვანელობისა და ადრეული ჩარევის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

- რჩევების შეჯამება

სტანდარტი 1

1.1 დაინტერესებულმა მხარეებმა მეტი უნდა იცოდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის წვლილის შესახებ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

1.1 რეკომენდებულია პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტი 2

2.2 სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმისა და ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდის მიზნით მისი სტრუქტურის შესახებ მეტის გაგება.

2.2 სასურველია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის აქტუალური პრობლემები და გაიზარდოს საათები სასწავლო კურსებში (მაგ. ეპიდემიოლოგიაში).

2.4 ყველა კლინიკურ საგანში, კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომა შესაძლოა შეიცვალოს სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან და ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად, და სასურველია ქუთაისის უნივერსიტეტმა ყურადღებით განიხილოს ეს საკითხი.

2.5 შესანიშნავი იდეაა, დაინერგოს სტუდენტური პორტფოლიო, როგორც სტუდენტის სასწავლო გამოცდილების ჩასაწერად, ასევე რეფლექსიური პრაქტიკის კუთხით. თუმცა მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ზუსტად იყოს გარკვეული პორტფოლიოს მიზანი და მისი არსი, ისევე როგორც სათანადო ბალანსი მის სასწავლო ინსტრუმენტად და/ან შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებას შორის. დასაწყისისთვის, რეკომენდებულია პორტფოლიოების დანერგვის პედაგოგიური საფუძვლის და მათზე არსებული გამოცდილების აღწერის ლიტერატურის შესწავლა.

2.5 შემთხვევების ბანკის შექმნა PBL/CBL-სთვის კარგი ინვესტიცია იქნება სამომავლო მდგრადობისთვის, რადგან ის გაზრდის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შემთხვევების მასშტაბს, მოცულობასა და ხარისხს.

სტანდარტი 3

3.1 იმ რთული დასაწყისიდან გამომდინარე, რაც ყველა პირველკურსელ სტუდენტს ჰქონდა სწავლის დაწყებისას, სკოლამ უნდა განიხილოს დამატებითი აკადემიური და პასტორალური მხარდაჭერის შეთავაზება დამატებითი საჭიროებებისთვის. ეს უნდა მოიცავდეს მათი სასწავლო პროგრამების კოორდინაციას, რათა ინტეგრირდეს კამპუსში მყოფი სტუდენტი და ისინიც, ვისზეც გვითხრეს, რომ ძალიან მალე ჩამოვლენ.

3.1 თუ ვერ შესრულდა გეგმა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამჟამად ონლაინ რეჟიმში სწავლობენ და ჩამოსვლას აპირებენ მარტის ბოლოს/აპრილის დასაწყისში, მაშინ სკოლამ უნდა განიხილოს პროგრამაში არსებული მობილობის ვარიანტების გამოყენება, რათა ერთადერთ სტუდენტს შესთავაზოს სხვა დაწესებულების სტუდენტებთან ერთად კამპუსში სწავლის შესაძლებლობა.

სტანდარტი 4

4.1 სტუდენტების რაოდენობისა და მასშტაბის მატებასთან და შესაბამისად, ჩართული კლინიკური პედაგოგების რიცხვი ზრდასთან ერთად, სასურველია, რომ სწავლების თანამედროვე მიდგომებში მიმდინარე ტრენინგის განხორციელება და წარმატება შეფასდეს თვითშეფასების/რეგულარული საჭიროებების შეფასებების პროცესის მეშვეობით.

4.2 იმისათვის, რომ მთელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გაიზიაროს სწავლების სტანდარტების დაცვა, რაც საჭიროა პროგრამის წარმატებით წარმართვისთვის, შეიძლება სწავლების კოლეგიალური განხილვის სისტემის შემოღებაც.

4.2 იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების სწავლების ენა არის ინგლისური, უნდა მოხდეს პედაგოგებისა და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობის განხილვა, პერსონალის ყველა ტრენინგის ინგლისურ ენაზე ჩატარების გზით.

4.2 მისასაღმებელია ქუთაისში კვლევითი დაწესებულების შექმნის განზრახვა, რომელშიც ჩართულნი იქნებიან პერსონალი და სტუდენტები. თუმცა იმ საგნების სფეროების ყურადღებით განხილვამ, რომლებიც, სავარაუდოდ, სწრაფად განვითარდება, შეიძლება „გზა გაჭრას“ და ამით წაახალისოს მთელი პერსონალის აქტიური მონაწილეობა კვლევის განვითარებაში.

4.3 უნივერსიტეტში არსებული ობიექტები ამჟამად საკმარისია სტუდენტების მცირე რაოდენობისთვის, თუმცა ინფრასტრუქტურის გაფართოება და განვითარების დაგეგმვა უნდა მოხდეს სტუდენტების მზარდ რაოდენობასთან (წლიური მიღება - 100) გასამკლავებლად.

სტანდარტი 5

5.1 გარდა სტანდარტ 2.5-ში პორტფოლიოს შემოთავაზებისა, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ჩართული იყოს პორტფოლიოს განვითარების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს პორტფოლიოს ფარგლებში შეგროვებული მონაცემების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.

5.2 ურთიერთობები, რომლებიც ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში და განსაკუთრებით ევროპის უნივერსიტეტში, შეიძლება იქნეს გამოყენებული პროგრამის განვითარებისა და განხორციელების რჩევების მისაღებად. ზოგიერთი უფროსი კოლეგის მოწვევა პროგრამის „გარე შემფასებლად“ შესაძლებელს გახდის რეგულარულ ზედამხედველობას და გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებას, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სტანდარტი 1

სტანდარტი 2

სტანდარტი 3

სტანდარტი 4

4.2 ქუთაისის უნივერსიტეტმა თავიდანვე შექმნა ამბიციური გეგმა, რომ ხელი შეუწყოს კვლევებს, როგორც უნივერსიტეტის ძირითად ნაწილს. მათ სურთ, აღქმული იყვნენ, როგორც კვლევითი დაწესებულება, რომელშიც კვლევის განვითარება, თანამშრომლობა და გავლენა ახალი პროგრამის ფუნდამენტური ნაწილია. მათ დანერგეს პროცესი, რათა წახალისონ მთელი პერსონალი, გამოთქვან იდეები კვლევითი პროექტებისთვის და შექმნან სარეზერვო გეგმები ამ განვითარების დაფინანსებისთვის, თუ საწყისი ბიუჯეტები არასაკმარისი იქნება.

სტანდარტი 5

5.1 ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, რომლებიც ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, არის ყოვლისმომცველი, კარგად ორგანიზებული და მომავალზე ორიენტირებული.

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (თუ არსებობს)

ქუთაისის უნივერსიტეტი ვითარდება, რომ დანერგოს სრულად ინტეგრირებული სპირალური სასწავლო გეგმა ჰორიზონტალური და ვერტიკალური განლაგებით და სათანადოდ დაგეგმილი წესით, თუმცა პროგრესი შეზღუდულია უცხოელი სტუდენტების მიღებაზე ასახული კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენისა და კლინიკური მკურნალობის მაღალი მოთხოვნების გამო.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

- პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ მის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის (შემდგომში UNIK-ის) მისია მკაფიოდ არის განსაზღვრული და მასში ნათქვამია:

- შესაბამისი კომპეტენციისა და განათლების მქონე სამუშაო ძალის მომზადება, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხელს შეუწყობს ეთიკური და სოციალურად პასუხისმგებელი საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებას და საკუთარ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაში.
- აკადემიური საზოგადოების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე. წვლილის შეტანა ახალი ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, უნივერსიტეტის რესურსებისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დონემ და მოცულობამ ქუთაისის უნივერსიტეტს საშუალება მისცა სწრაფად განვითარებულიყო და შეექმნა მთლიანად ინტეგრირებული კურიკულუმის გეგმა. გარდა ამისა, გვითხრეს, რომ ეს ურთიერთობა შექმნის შესაძლებლობას სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მიწოდების კარგი პრაქტიკის გაზიარებისთვის, ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურის შექმნისთვის, რომელიც შეამცირებს ინსტიტუციურ რისკს.

თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, საზოგადოების განვითარების საჭიროებებს; პროგრამის მიზნები ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია „მომზადოს

თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს; ხელმძღვანელობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპებით; იყენებს კვლევისა და კომუნიკაციის უნარებს; იზიარებს ეთიკურ ნორმებსა და პრინციპებს; პროფესიონალურად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში“. აღწერის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფს დარგის ცოდნას, პრაქტიკულ/კლინიკურ უნარებს, ავტონომიასა და პასუხისმგებლობას, რაც აუცილებელია სამაგისტრო განათლებისა და პროფესიული განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამა პირობითად აკრედიტირებული იყო (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №12000351830, 29.04.2020), რათა ეპასუხა თანამედროვე სამედიცინო განათლების გამოწვევებისთვის და მიეღწია საერთაშორისო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობისთვის. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა გადაიხედა ამ პერიოდის შემდეგ, მომდევნო 2 წლის განმავლობაში, აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული რეკომენდაციების საფუძველზე. თუმცა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის ეს საანგარიშო პერიოდი წარუმატებელი იყო, რადგან ბოლო 2 წლის განმავლობაში სტუდენტების მინიმალური ჩარიცხვა მოხდა (2020/2021 წლებში ჩაირიცხა მხოლოდ 1 სტუდენტი, ხოლო 2021/2022 სასწავლო წლისთვის - 11). 2019 წლიდან პროგრამამ შეიცვალა ხელმძღვანელები, გარდა ამისა, 8 აკადემიურმა და 18 მოწვეულმა თანამშრომელმა დატოვა ქუთაისის უნივერსიტეტი.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სამედიცინო პერსონალის ამჟამინდელი ბაზარი განიცდის შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტს და პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური განათლების შესაბამის დონეზე სწავლების ხარისხის ამაღლებით, ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით. დაწესებულებას აქვს ამბიცია განახორციელოს საჭირო პროგრამა, უფრო მეტიც, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და თვითშეფასების ჯგუფი აცხადებენ, რომ „გამოწვევებს მოაგვარებს უნივერსიტეტის მენეჯმენტის გუნდის წარმატებული პრაქტიკა მედიცინის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტების მოზიდვის კუთხით“. ქუთაისის უნივერსიტეტი აღიარებს, რომ მათ გამოიყენეს სხვა უნივერსიტეტის (ევროპის უნივერსიტეტის) მმართველი გუნდის გამოცდილება, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უნივერსიტეტი ქუთაისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი ორგანოა, ახლა ცალკე ორგანიზაციას წარმოადგენს. ამ გზავნილში იყო გარკვეული შეუსაბამობა, რამდენადაც, როდესაც მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სარეზერვო გეგმისა და რისკის შერბილების შესახებ გარკვეულ სფეროებში (მოყვანილი მაგალითები იყო კვლევის დაფინანსება და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია), მათ აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ შეუძლიათ მიმართონ ევროპის

უნივერსიტეტს საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, კვლევის შემდგომი დაფინანსების გეგმებისთვის და ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ტარდება, თუმცა არიან შტატგარეშე თანამშრომლები, რომლებიც ასევე იკავებენ ადმინისტრაციულ თანამდებობებს სხვა უნივერსიტეტებში. ამ დროისთვის პრორექტორი აკადემიური პროცესის ადმინისტრირების საკითხებში იკავებს რექტორის თანამდებობას სხვა უნივერსიტეტში, პრორექტორი ხარისხის განვითარების საკითხებში იკავებს იმავე პოზიციას ევროპის უნივერსიტეტში, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი არიან სხვა უნივერსიტეტებთან აფილირებული პროფესორები. ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განვითარებასთან და სტუდენტების რაოდენობის მატებასთან ერთად, სავარაუდოა, რომ ამ უფროსი პერსონალის დატვირთვის მოთხოვნები გაიზრდება და საჭირო იქნება ალტერნატიული ღონისძიებები/დასაქმება.

თვითშეფასების ანგარიშის, დაწესებულებაში ვიზიტის შედეგებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კვლევის სტრატეგიის მიხედვით, უსდ მხარს უჭერს და ქმნის შესაბამის გარემოს აკადემიური პერსონალის კვლევის მხარდასაჭერად, თუმცა აკადემიური პერსონალის კვლევითი ნაშრომები და პუბლიკაციები სხვა უნივერსიტეტებთან არის აფილირებული. წარმოდგენილი იყო ქუთაისის უნივერსიტეტის სახელის ქვეშ გამოქვეყნებული მხოლოდ ერთი მონოგრაფია და მეტი მტკიცებულება არ წარმოდგენილა. პროგრამის მიზნები - ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობა, რომლის განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულში, არის განსაზღვრული, მაგრამ შეიძლება არ იყოს მიღწევადი, ძირითადად არასაკმარისი ადამიანური რესურსების გამო.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის კომიტეტმა განიხილა დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის განახლების პროცესი და თანამშრომლობდა დაინტერესებულ მხარეებთან. თუმცა ინტერვიუების დროს ცხადი გახდა, რომ დამსაქმებლებს არასაკმარისი ინფორმაცია ჰქონდათ ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის პოტენციალისა და დარგისა და საზოგადოების განვითარებაში მისი წვლილის შესახებ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროგრამის შესახებ ცნობადობის გაზრდის თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამისა და კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის კვლევა
- ინტერვიუების შედეგები
- www.unik.edu.ge

რეკომენდაციები:

- ქუთაისის უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ მათი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა უნიკალურია რეგიონისთვის, რადგან ეფუძნება ადგილობრივ კულტურულ ნორმებს. თუმცა ადგილობრივ მოსაზრებებთან შესაბამისობას გაამყარებდა ადგილობრივად დაფუძნებული კვალიფიციური გუნდი, რომელსაც გამოცდილებით შეუძლია სრულად გაითვალისწინოს და გაიგოს ეს ადგილობრივი საჭიროებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- დაინტერესებულმა მხარეებმა მეტი უნდა იცოდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის წვლილის შესახებ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
- რეკომენდებულია პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გრძნობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მეორე დონის აღმწერთან. სასწავლო გეგმა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ინტეგრაციის ელემენტებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ, დიპლომირებულ მედიკოსს ექნება შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები: დარგის ცოდნა, პაციენტების კონსულტაცია, კლინიკური პრეზენტაციების შეფასება, გამოკვლევების დაკვეთა, დიფერენციალური დიაგნოზის დასმა და მართვის გეგმაზე მოლაპარაკება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა გადაუდებელ სამედიცინო სიტუაციებში (პირველადი დახმარება და რეანიმაციული ღონისძიებები), წამლების გამოწერა, პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება პაციენტების დაავადებასთან დაკავშირებით; ცოდნის, უნარებისა და პრინციპების გამოყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებით, ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება სამედიცინო კონტექსტში, მეცნიერული პრინციპების, მეთოდისა და ცოდნის სამედიცინო სფეროში გამოყენების უნარი, ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, პროფესიონალიზმი.

როგორ მიიღწევა კონკრეტული პროგრამის ან კომპონენტის სწავლის შედეგები, ეს გაანალიზებულია სწავლის შედეგების რუკით. რუკა ასახავს სწავლის შედეგების I-P-M (გაცნობა-პრაქტიკა-დაუფლება) ხარისხის პროგრესირებას.

დაწესებულება იყენებს კონტროლის რამდენიმე მიღებულ მეთოდს პროგრამის მონიტორინგისა და სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესაფასებლად. ქუთაისის უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიით“ (უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის ბრძანება №15). საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი (კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება და ანალიზი) და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით.

გამომდინარე იქიდან, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე ასე ცოტა სტუდენტი ჩაირიცხა, კვლევის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა.

აკადემიურ პერსონალთან დისკუსიის დროს ცხადი გახდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს სრულად ესმოდათ ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგება და შეფასებებთან კავშირი. თუმცა პერსონალთან შეხვედრისას აშკარა გახდა, რომ კლინიკურ განყოფილებებში ყველა თანამშრომელს არ აქვს ინგლისური ენის კომპეტენცია; მაგალითად, ერთ-ერთი უფროსი აკადემიური კლინიკოსის თქმით იგი საუბრობდა რუსულად და გერმანილად და არა ინგლისურად.

პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია ტუტორების როლი პროგრამის განხორციელებაში. კერძოდ, მათი ფუნქციები არ არის მკაცრად განსაზღვრული; კომუნიკაციის ფორმები და ანგარიშვალდებულების პროცესები არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, სიცხადისა და ინფორმირებულობის ნაკლებობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ტუტორების უნარზე გაიაზრონ თავიანთი როლი პროგრამის სწავლის შედეგების მიღების შეფასების შედეგები გამოიყენონ პროგრამის განსავითარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამისა და კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- www.unik.edu.ge

რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის გაცნობითი/საორიენტაციო ტრენინგი უნდა მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, რაც დაეხმარება ლექტორებს სრულად გაიაზრონ მათი როლი და წვლილი პროგრამის მუდმივ განვითარებაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია პროგრამაზე დაშვების სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<https://unik.edu.ge>), რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის განხილვით, მტკიცებულების სახით მოწოდებული დამატებითი დოკუმენტაციით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან გასაუბრებით.

შემდეგ აპლიკანტებს უფლება აქვთ ისწავლონ პროგრამაზე: პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „აბიტურიენტების/ მაგისტრანტების/ სტუდენტების, რომლებსაც აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, საბუთების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესახებ 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/ნ დამტკიცებული ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დამტკიცონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე „ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგების მიხედვით, მისაღები გამოცდის ხარისხი საკამათოა, საჭიროა სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება. მისაღებმა გამოცდებმა უნდა უზრუნველყოს რელევანტური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დაშვება პროგრამაზე.

სრული ზოგადი განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი ქუთაისის უნივერსიტეტში სწავლის უფლებას იძენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების საფუძველზე. პროგრამაზე ჩასარიცხად, აბიტურიენტმა უნდა გაიაროს შემდეგი საგნები:

- ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა (მინიმალური ბარიერი 80%), ბიოლოგია.
- ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. თითოეული საგნის კვოტირებული ადგილებია - 40%, 30%, 30%.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამასთან და კურსთან დაკავშირებით მოწოდებული მთელი მასალა)
- თვითშეფასების ანგარიში
- <https://unik.edu.ge/PagePDF/455b19310587c6c6da904e2da5082f6f.pdf>

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია მისაღები გამოცდების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტების შესარჩევად.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, ქუთაისის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, შემუშავების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებით.

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 360 კრედიტი ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) თანახმად. ერთი ECTS უდრის 30 ასტრონომიულ საათს, რომლებიც მოიცავს საკონტაქტო საათებს. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი (12 სემესტრი), რაც გულისხმობს სემესტრში 30 კრედიტს და სულ მოიცავს 360 ECTS-ს (10800 საათს). სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის წლიური სასწავლო დატვირთვით, რაც 60 ECTS-ზე მეტია. პროგრამის დადგენილ ხანგრძლივობაში 60-ს დამატებული კრედიტების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 15 ECTS-ს, რაც შეესაბამება საქართველოს განათლების სამინისტროს №3 ბრძანებას კრედიტების განაწილების წესის თაობაზე.

პროგრამა შედგება:

- დარგის 320 ECTS კრედიტისგან - სავალდებულო (320 ECTS) და არჩევითი (10 ECTS) კომპონენტებისგან.
- თავისუფალ კომპონენტს აქვს 30 ECTS მოცულობა.

მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად,

- კვლევის კომპონენტს ეძლევა 10 ECTS (სამეცნიერო მსჯელობა I, II, III, IV),
- 20 ECTS კრედიტი ენიჭება სწავლებას კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში პირველივე კურსიდან (კლინიკური და პროფესიული უნარები I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI).

პროგრამა მოიცავს:

- I ეტაპი - მოიცავს მედიცინის საფუძვლების ჰორიზონტალურ ინტეგრირებულ მოდულებს (I-II კურსები);
- II ეტაპი - ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის მექანიზმები - ძირითადი ყურადღება ექცევა ადამიანის დაავადებასთან დაკავშირებული ასპექტების განხილვას, როგორცაა პათოლოგია, დაავადების განვითარება და მკურნალობის მექანიზმები (III კურსი);

- III ეტაპი - ძირითადი კლინიკური ეტაპის სტუდენტები სწავლობენ ძირითად კლინიკურ საგნებს კლინიკური როტაციის სახით (კურსი IV-V);

- IV ეტაპი - კლინიკური ფაზის დასკვნითი ეტაპი - სტუდენტები განავითარებენ და სრულყოფენ თავიანთ კომპეტენციებს შინაგან მედიცინაში, ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, საოჯახო მედიცინაში, გერიატრიაში, პედიატრიაში და სასამართლო მედიცინაში. (VI კურსი).

პროგრამის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამა აგებულია მოდულურ პრინციპზე, ზოგიერთ სასწავლო კურსში საგნების ინტეგრირება ხდება მექანიკურად (მაგალითად: საჭიროა ტრავმატოლოგიასთან ინტეგრირებული ქირურგიის მეტი ახსნა სასწავლო კურსში „ქირურგიული პრაქტიკა I“ (VII სემესტრი). ზოგიერთი კურსი არ არის ლოგიკურად სტრუქტურირებული, არის დიდი დაშორება (4 სემესტრი) პედიატრია I-სა და პედიატრია II-ს შორის.

ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგი არ შეესაბამება თემებს, მაგალითად სასწავლო კურსში „კლინიკური და პროფესიული უნარები II“ სწავლის შედეგებია:

- ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან;
- აქვს ეფექტური კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით;
- მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს;

მაშინ როცა სტუდენტს შეუძლია ხუთი სემესტრის შემდეგ შეისწავლოს ეთიკური საკითხები (კლინიკური და პროფესიული უნარები VI), ხოლო კომუნიკაციის უნარები - შვიდი სემესტრის შემდეგ (კლინიკური და პროფესიული უნარები VIII).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შეიცავს არჩევით და თავისუფალ კომპონენტებს, ზოგიერთი სავალდებულო საგანი არ არის აღნიშნული, როგორც სავალდებულო, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. საგანი „სოციოლოგია“ სავალდებულო უნდა იყოს, მაშინ როცა ის თავისუფალი არჩევითი კურსების ჩამონათვალშია და იგივე ეხება საგანს „კლინიკური ფსიქოლოგია“, რომელიც არჩევითი საგნების ჩამონათვალშია.

არის თემები, რომლებიც აუცილებელია დიპლომირებული მედიკოსისთვის (მაგალითად: ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად), მაგრამ არ შედის პროგრამის სამედიცინო ინფორმატიკაში. განსაზღვრული არაა სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის აღწერა ატვირთულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე <https://www.unik.edu.ge>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://www.unik.edu.ge>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ბიოეთიკის საკითხებისა და კომუნიკაციის უნარების სწავლების გადატანა პროგრამის საწყის ეტაპზე (I-II სასწავლო წლებში).
- რეკომენდებულია სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო კურსებში.
- რეკომენდებულია კურსების განაწილება ლოგიკური თანმიმდევრობით, კონკრეტულად კი კურსების - პედიატრია I (ისწავლება VII სემესტრში) და პედიატრია II (ისწავლება XII სემესტრში) შეცვლა.
- რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნება მეტი შეიტყონ სასწავლო გეგმისა და მისი სტრუქტურის შესახებ, რათა საშუალება მიეცეთ დააკავშირონ ახალი ცოდნა წინასთან, რომელიც მიიღეს პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაციის გზით.
- სასურველია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის აქტუალური პრობლემები და გაიზარდოს საათები სასწავლო კურსებში (მაგ. ეპიდემიოლოგიაში).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია; სასწავლო გეგმაში შეტანილი კურსები ეფუძნება სტუდენტების მიერ წინასწარ შეძენილ ცოდნასა და უნარებს.

ყველა სილაბუსის განხილვისას ყურადღება ეთმობოდა შემდეგს: მითითებულია დაშვების წინაპირობები, სასწავლო მიზანი და შედეგები, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, შეფასების მეთოდები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, აკადემიური კურსის შინაარსი, სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა. სილაბუსები მსგავსადაა ფორმატირებული მთელ კურიკულუმში და თითოეული იძლევა დეტალურ ინფორმაციას შინაარსზე, სწავლებაზე, შეფასებასა და ზოგად ქცევით მოლოდინებზე. კურსების დოკუმენტაცია იძლევა მტკიცებულებებს სტანდარტებთან შესაბამისობის, ყველა მოდულის სწავლის შედეგების, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების სტრუქტურის თაობაზე. კრედიტთა განაწილება სავსებით სათანადოა.

კურსების ყველა სწავლის შედეგი განსაზღვრულია როგორც ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, დარგობრივ მახასიათებლებზე დაყრდნობით; სწავლის შედეგები გაზომვადია და ადეკვატურად ფასდება. ყველა ცალკეული სასწავლო კურსისა და მოდულის სწავლის შედეგები მთლიანობაში ქმნის პროგრამის სწავლის შედეგებს, რომლებიც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლით და კვალიფიკაციის აღმწერით. კომპეტენციების რუკა ასახავს სწავლის სამ შედეგს, ესენია: 1 - შესავალი, 2 - პრაქტიკა, 3 - დაუფლება; აღნიშნული შედეგები აჩვენებს სტუდენტის პროგრესს. კომპეტენციების რუკა ასახავს სწავლის შედეგების მიღწევას შესავალიდან დაუფლებამდე და განაწილებულია ლოგიკურად.

სილაბუსებში შეტანილი საჭირო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. საჭირო სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულად/ონლაინ რეჟიმში.

უნდა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება ზოგიერთ სასწავლო კურსში, მაგალითად სასწავლო კურსში „შესავალი კლინიკურ დიაგნოსტიკაში I - ფიზიკური დიაგნოსტიკა (V სემესტრი)“ - საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება არის 81/219. ეს არის კლინიკური კურსი, რომელიც ორიენტირებულია კლინიკური და პრაქტიკული უნარების დაუფლებაზე და მოიცავს კლინიკური აქტივობების მრავალფეროვნებას, როგორცაა: გასინჯვა, პერკუსია, პალპაცია, აუსკულტაცია და ა.შ. შესაბამისად, საჭიროა უფრო პრაქტიკული აქტივობები კლინიკურ სიმულაციური ცენტრში, და არა სახლში მუშაობა. იგივე საკითხია კურსში „შესავალი კლინიკურ დიაგნოსტიკაში II“, სადაც საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილებაა 96/204.

პროგრამის განმახორციელებლების თქმით, ზოგიერთ მათგანს ევალუა თორმეტზე მეტი კურსის ჩატარება. ამავე დროს ისინი არიან პრაქტიკოსი ექიმები და გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ისინი მუშაობენ სხვა უნივერსიტეტებში, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ეს იქნება გამოწვევა, როდესაც სტუდენტების წლიური მიღება გაიზრდება უნივერსიტეტის განზრახვის შესაბამისად – მიიღოს 100 სტუდენტი წელიწადში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა
- პროგრამის განმახორციელებელი პირების რეზიუმეები (CVs)
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები

რეკომენდაციები

- საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების განაწილება კურსში; შესავალი კლინიკურ დიაგნოსტიკაში: I და II არ არის თანმიმდევრული და საჭიროებს გადახედვას.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არის გაწერილი პროგრამის პრაქტიკული უნარების პროგრესული განვითარება პრე-კლინიკური და კლინიკური ეტაპებისთვის. OSPE-ს და OSCE-ს გამოყენება კონკრეტული შეფასებების ნაწილად უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას მოლოდინის შესაბამისად. კურსი „კლინიკური და პროფესიული უნარები I-XI“ მთელი კურიკულუმის განმავლობაში გრძელდება და წარმოადგენს მედიცინის სტუდენტის მომზადების ასეთი მიდგომის საყრდენს, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს ახალგაზრდა ექიმად მუშაობა.

უნივერსიტეტში მოქმედებს კლინიკური უნარების ცენტრი და ლაბორატორიული ცენტრები (მიკრობიოლოგია, ჰისტოლოგია, ბიოქიმია), რომლებიც ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში; სამეცნიერო უნარების განვითარება პირველივე წლიდან იწყება, როდესაც სტუდენტი გადის სავალდებულო კურსს „მეცნიერული აზროვნება“; საერთო ჯამში, სავალდებულო სასწავლო მოდულებისთვის 10 კრედიტია გამოყოფილი.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებაში სულ 17 საავადმყოფოა ჩართული. ექსპერტებმა ორი საავადმყოფო მოინახულეს: დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონული ცენტრი; ორივე მრავალპროფილური საავადმყოფოა. ორივე საავადმყოფო სხვა უნივერსიტეტთან არის აფილირებული.

ვიზიტის დროს შეფასდა საავადმყოფოს კლინიკური გარემო (პალატები, გადაუდებელი დახმარების, ინტენსიური თერაპიის განყოფილება, საოპერაციო ოთახი და ა.შ.) და სასწავლო ტერიტორიები (აუდიტორია, სტუდენტური სივრცე). გასაუბრებისას საავადმყოფოს წარმომადგენლებმა (პოტენციურმა თანამშრომელმა) ვერ ახსნეს აფილირების მნიშვნელობა. როდესაც კითხვა შეეხო სტუდენტების მიღებისთვის მზადყოფნას, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მზად იყვნენ მიეღოთ იმდენი სტუდენტი, რამდენიც გამოიგზავნებოდა; ზოგიერთი კი ვარაუდობდა, რომ თავიანთ დაწესებულებაში ჰქონდათ 1000-მდე სტუდენტის მიღების შესაძლებლობა ყოველწლიურად. თუმცა, არსებობს განსხვავება სტუდენტების ადგილზე მიღებასა და სხვადასხვა სივრცეში (მაგ. პალატებში, კლინიკებში, საოპერაციო ოთახებში და ა.შ.) მათ განაწილებას შორის. ასევე სხვა საკითხია საკმარისი კლინიკური პედაგოგების ყოლა და შესაბამისი სასწავლო ადგილის ქონა, სადაც ისინი მიიღებენ ინფორმაციასა და ტრენინგს კლინიკური საქმიანობის შესახებ. ნათლად არ ჩანდა, რომ საავადმყოფოს წარმომადგენლები ამას ხვდებოდნენ ან იმას, რომ სასწავლო სივრცეები, რომლებიც ჩვენ გვიჩვენეს, არ იქნებოდა ადეკვატური ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტებისთვის.

სასწავლო კურსში „კლინიკური და პროფესიული უნარები V (კლინიკური აზროვნება)“ სწავლის შედეგებში განსაზღვრულია:

„1. დარგის ცოდნა. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი: სწორად აღწერს კლინიკურ პრობლემას, კლინიკურ აზროვნებასა და მსჯელობაზე დაყრდნობით. აღწერს კლინიკური პრობლემის გადაჭრის გზებს.“

კლინიკური აზროვნებისა და მსჯელობის სწავლება გამოწვევას წარმოადგენს და სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლოა გართულდეს, რადგან ლექტორთა უმეტესობა, რომლებიც ატარებენ სასწავლო კურსებს, პროფესიით ბიოლოგები და ფარმაცევტები არიან და არა ექიმები. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სტუდენტებს ასწავლონ სხვა დისციპლინების სპეციალისტებმა, ეს შეუძლებელია, რადგან საგანი ეხება „კლინიკურ აზროვნებასა და მსჯელობას“ და „ექიმის პროფესიული უნარების განვითარებას“, რაც მხოლოდ ექიმებს შეუძლიათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- დაწესებულებაში ვიზიტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს არსებული გეგმები დიდი რაოდენობით სტუდენტების საავადმყოფოებში განთავსების შესახებ, რათა გათვალისწინებული იქნეს როგორც საავადმყოფოს ფიზიკური ტევადობა სტუდენტების რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, ასევე კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები – ასწავლონ სტუდენტებს სპეციალურ, აუდიტორიის ტიპის სივრცეებში, გადატვირთული კლინიკური ადგილებიდან მოშორებით.
- რეკომენდებულია, რომ კურსი „კლინიკური და პროფესიული უნარები V“ ასწავლონ ექიმებმა.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ყველა კლინიკურ საგანში, კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომა შესაძლოა შეიცვალოს სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან და ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად, და სასურველია ქუთაისის უნივერსიტეტმა ყურადღებით განიხილოს ეს საკითხი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

➤ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება

განათლების ამ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

თვითშეფასების ანგარიში, კურსის სილაბუსები, პროგრამის აღწერა და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებაც მიუთითებს იმაზე, რომ სწავლებისა და სწავლისადმი არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული ერთიანი მიდგომა. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას, კლინიკური უნარების სწავლებას, ლაბორატორიულ სავარჯიშოებს, მანეკენებით სიმულაციას, პაციენტის საწოლთან სწავლებას - ყოველივე ამას წვლილი შეაქვს კარგი სტრატეგიების ერთობლიობაში.

სწავლების სტრატეგიები ხორციელდება სასწავლო კურსის მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, სემინარებს, დისკუსიას/დებატებს, დემონსტრაციის მეთოდს, PBL-ს, CBL-ს, პაციენტის საწოლთან სწავლებას; ყოველივე ეს შეესატყვისება საგანმანათლებლო საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა რეგულირდება „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N18 ბრძანებით), რომელიც მოიცავს სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურებს, მეთოდოლოგიას და ა.შ.

სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს განუცხადა, რომ 2021 წლის ივნისის გარე შეფასების ანგარიშში შემოთავაზებული იყო შეფასებების დიაპაზონის გაფართოება და დამატებითი კომპონენტის სახით სტუდენტების პორტფოლიოს შემოღება. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაიწერონ თავიანთი სასწავლო გამოცდილება, ასევე წახალისებს მათ განახორციელონ და დოკუმენტად შეინახონ რეფლექსიური პრაქტიკა. სკოლის ადმინისტრაცია აღფრთოვანებულია ამ იდეით და აპირებს პორტფოლიოს წარდგენას მას შემდეგ, რაც გამოიკვლევს, რას აკეთებენ სხვა სამედიცინო სკოლები და რა ითვლება ამჟამად საუკეთესო პრაქტიკად.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს მხოლოდ ერთმა ლექტორმა ახსნა, როგორ გამოიყენება PBL მეთოდი გაკვეთილზე. სხვებს არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა ვერც კი ახსნა რა განსხვავებაა PBL-სა და CBL-ს შორის. დოკუმენტების მიხედვით ისინი გადამზადებულნი არიან და საჭირო ცოდნა დასტურდება სერტიფიკატებით, მაგრამ მათ სჭირდებათ მეტი ტრენინგი სამედიცინო განათლებაში სწავლების თანამედროვე

მეთოდების გამოყენების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის საფუძველზე მოწოდებული იქნა OSCE-ს გამოცდის დამატებითი დოკუმენტაცია, როგორც ჩანს, არ არსებობს PBL-ისა და CBL-ის შემთხვევების ბანკი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეთოდოლოგია (დამტკიცებული რექტორის მიერ)
- <https://unik.edu.ge/PagePDF/263ae81e681a8e6a793fb3a1d62b17c3.pdf>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია PBL და CBL მეთოდოლოგიაში უფრო მეტი ტრენინგი, რათა ყველა ლექტორმა გაიგოს არა მხოლოდ პედაგოგიკა, რომელსაც ემყარება მეთოდი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოახდინოს პედაგოგმა მისი გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- შესანიშნავი იდეაა, დაინერგოს სტუდენტური პორტფოლიო, როგორც სტუდენტის სასწავლო გამოცდილების ჩასაწერად, ასევე რეფლექსიური პრაქტიკის კუთხით. თუმცა მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ზუსტად იყოს გარკვეული პორტფოლიოს მიზანი და მისი არსი, ისევე როგორც სათანადო ბალანსი მის სასწავლო ინსტრუმენტად და/ან შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებას შორის. დასაწყისისთვის, კარგი იქნება პორტფოლიოების დანერგვის პედაგოგიური საფუძვლის და მათზე არსებული გამოცდილების აღწერის ლიტერატურის შესწავლა.
- შემთხვევების ბანკის შექმნა PBL/CBL-სთვის კარგი ინიციატივა იქნება სამომავლო მდგრადობისთვის, რადგან ის გაზრდის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შემთხვევების მასშტაბს, მოცულობასა და ხარისხს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6 სტუდენტის შეფასება

- სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ეს პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის შეფასებები სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო მითითებებს და მონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის შეფასების წესების თანახმად.

პროგრამა იყენებს შეფასების ასორტიმენტს მთელი სასწავლო გეგმის განხორციელების პეროდში, რომელთაგანაც უმეტესობა ობიექტურია, მათ შორის კლინიკური სწავლების ფაზაში. ყველა სილაბუსი შეიცავს შეფასების პროცესების დეტალურ აღწერას და შეფასების რუბრიკას. აქტიურად გამოიყენება შეფასების ახალი და თანამედროვე მიდგომები: OSPE - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდები პრეკლინიკურ მოდულებში. მხოლოდ ერთი სტუდენტია, რომელიც შეფასებულია ზემოთხსენებული მეთოდით. სტუდენტის უკუკავშირი დადებითი იყო. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა ჩატარდა სიის გამოყენებით, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ ერთი სტუდენტია, რომელიც ზემოთხსენებული მეთოდით შეფასდა, საღი უკუკავშირის მიღება არ არის შესაძლებელი. თუმცა, ამ ერთმა სტუდენტმა დაადასტურა, რომ ლექტორი, რომელიც ასწავლიდა კლინიკურ უნარებს, გამოცდის დროს შემფასებელი იყო. ჩვენ გვითხრეს, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შემფასებლები ასევე იყვნენ კურსის ლექტორები და ეს არ არის მიზანშეწონილი, რადგან ის პოტენციურად შესაძლოა მიკერძოებული იყოს გამოტანილ გადაწყვეტილებაში.

OSCE გამოცდა მხოლოდ ოთხი სადგურით არის წარმოდგენილი, თუმცა ეს იყო შუალედური გამოცდა და პროგრამაში დეტალურადაა აღწერილი, რომ წლის ბოლოს შეფასებისთვის OSCE-ის 8 სადგური იქნება. ვინაიდან OSCE-ის მთავარი ფასეულობა მის სტანდარტიზაციასა და სანდოობაშია, მისი შეფასება მხოლოდ ერთი სტუდენტით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ კომპონენტებზე, რადგან 'სტანდარტის დაწესების' ფართოდ აღიარებული მიდგომა ვერ იქნება მიღწეული მხოლოდ ერთი კანდიდატით. ამ საკითხზე კითხვის საპასუხოდ უსდ-ს წარმომადგენლებმა ექსპერტებს მოახსენეს ქუთაისის უნივერსიტეტის პოლიტიკაზე, რომ უნდა არსებობდეს კანდიდატთა ადეკვატური რაოდენობა შედეგების შესაფასებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროს OSCE ჩატარდა მხოლოდ ერთი სტუდენტისთვის, არსებობს იმის რისკი, რომ ის ჩაითვალოს „არასწორად“ და სტუდენტი არასწორად დაჯარიმდეს პროგრამის ბოლოს. ეს საკითხი უნდა მოაგვაროს სკოლამ. ერთ-ერთი ვარიანტია, რომ ამ ერთმა სტუდენტმა ხელახლა გაიაროს OSCE გამოცდა დანარჩენ 11 სტუდენტთან ერთად, რომელიც მალე ჩამოვა, მკაცრი არასაზიანო პოლიტიკის შესაბამისად. ამის საფუძველზე გაიცემა უფრო განმავითარებელი უკუკავშირი უფრო დიდი ჯგუფის ნორმასთან მიმართებით და ასევე საჭიროების შემთხვევაში მოახდენს ამ სტუდენტის შეფასებას ვალიდაციას სამომავლოდ.

იმის გამო, რომ სტუდენტების რაოდენობა სწრაფად გაიზრდება (100 მიღება წლიურად) და ყველა სტუდენტის შეფასება კლინიკურ პრაქტიკაში განხორციელდება კლინიკურ განყოფილებებში კლინიკური ზედამხედველის მიერ, სწავლების და შეფასების ხარისხისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის პროცესი შეიძლება რთული გახდეს. ეს შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს დიდი რაოდენობით და შესაძლებლობების ზრდის სიჩქარით, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ტრენინგს პრაქტიკოსი კლინიციისთვის, მაგრამ ასევე ნაწილობრივ კლინიკების აფილირებით სხვა უნივერსიტეტის პროგრამებთან, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული კრიტერიუმები და შეფასების პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- პროგრამის შეფასების მეთოდოლოგიის შედეგები, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ N15 ბრძანებით 2020 წლის 17 სექტემბერს.

რეკომენდაციები:

- უნდა შეწყდეს პედაგოგების გამოყენება OSCE-ს შემფასებლებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა და შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება.
- იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია შესაბამისი კლინიკური პერსონალისთვის ინტენსიური ტრენინგის ჩატარება შეფასებაში.
- რეკომენდებულია, რომ სკოლამ გადაჭრას OSCE-ს ერთი სტუდენტისთვის ჩატარების პრობლემა და განიხილოს ვარიანტი, რომ ამ სტუდენტს მიეცეს საშუალება ხელახლა ჩააბაროს OSCE სხვა 11 სტუდენტთან ერთად, რომელიც მალე ჩამოვა, მკაცრი არასაზიანო პოლიტიკის შესაბამისად, რათა ამ სტუდენტის შეფასება ვალიდურად ჩაითვალოს მომავალში.
იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პირველ ნაკადში სტუდენტების რაოდენობა დაბალია და შესაძლოა 'სტანდარტის დაწესების' აღიარებული მიდგომის ეფექტურობა შეამციროს, საჭიროა გამოირკვეს და დაინერგოს ფსიქომეტრიის სპეციალისტის რჩევები მომავალი OSCE შეფასების განხორციელებამდე.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

--

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება			X	

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ახორციელებს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებას და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები
<p>➤ სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტებთან ინტერვიუს ფარგლებში, გასაუბრება ჩატარდა მხოლოდ ერთ სტუდენტთან ფიზიკურად, ხოლო სხვებთან ზუმის პლატფორმის საშუალებით, რადგან ისინი ჯერ კიდევ ინდოეთში იმყოფებიან. ძალიან რთული აღმოჩნდა მათთან სრულყოფილი კომუნიკაცია, რადგან საუბრობდა მხოლოდ ერთი ან ორი. ასე რომ, დარწმუნებული არ ვართ, რომ ყველა მათგანმა გაიგო ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვები. ამიტომ ჩვენი კომენტარები მათ უკუკავშირთან დაკავშირებით მხოლოდ ამ მწირ და შეზღუდულ ინფორმაციას ეფუძნება.</p> <p>ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მოტივირებულია, რომ მიაწოდოს სტუდენტებს მაღალი ხარისხის სასწავლო ინფორმაცია და დაეხმაროს მათ სწავლის დროს საკონსულტაციო საათების საშუალებით, რაც გათვალისწინებულია სილაბუსში.</p> <p>ყველა სტუდენტი პირველ სემესტრშია, ამიტომ არ იცნობს პროგრამის სპეციფიკას, თუმცა სწავლა ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა და ისინი პრაქტიკული უნარების ნაკლებობას გრძნობენ.</p> <p>როგორც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აღნიშნა, მომავალ სემესტრს ისინი</p>

ადგილზე გაივლიან და ეს პრობლემაც გადაიჭრება. ყველა სტუდენტი პირველკურსელია, მაგრამ მათი უკუკავშირი მაინც საკმაოდ დაბალია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი გეგმავს გამოკითხვებში მათი ჩართულობის გაზრდას, თუმცა მექანიზმი გაურკვეველია.

ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების მხარდაჭერის სერვისი, თუმცა ამ პროგრამასთან მიმართებით ეს სერვისები გამოცდილი არაა. სტუდენტების უმეტესობა საზღვარგარეთ არის, ამიტომ ტარდება მხოლოდ ონლაინ აქტივობები - ონლაინ მასტერკლასები და ექიმების ტრენინგები, რომლებიც მზად არიან დაინტერესებულ სტუდენტებთან კონტაქტისთვის, მაგალითად,

- 2 კვირიანი ონლაინ ლექციები სამედიცინო გენეტიკის სფეროში, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები (სოფია, ბულგარეთი) და 2021 წლის თებერვალში ლექციების ციკლი
- ლექციების სერიები ჰელვანის უნივერსიტეტის მიერ (კაირო, ეგვიპტე), რომელმაც უზრუნველყო 5 შეხვედრა შემდეგ თემებზე: მედიცინის მომავალი, მომაკვდინებელი დაავადებები, ტექნოლოგიები მედიცინაში და ინფექციური დაავადებები.
- ტიმისარას დასავლეთის უნივერსიტეტმა, მემორანდუმის საფუძველზე, სპეციალური კვოტა გამოყო (შემცირებული განაკვეთით) ქუთაისის უნივერსიტეტისათვის 2020 ზაფხულის სკოლაში მონაწილეობის მისაღებად.

სტუდენტები იღებენ მისასალმებელ ელ-წერილს, როდესაც აპლიკაციას აგზავნიან ქუთაისის უნივერსიტეტში. ისინი ასევე ეცნობიან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებს, პროექტებსა და კონფერენციებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით (საინფორმაციო დაფებზე, პორტალებზე, ელ. ფოსტაზე, ვებსაიტზე, სოციალურ ქსელში). სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ამ ინფორმაციაში მოცემულია სწავლის პროცესის გარკვეული დეტალები და სპეციფიკა. მიუხედავად ამისა, სტუდენტებმა მაინც არ იციან, როგორ გაასაჩივრონ შუალედური ან ფინალური შეფასებები. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების ეს გაუთვითცნობიერებულობა შეიძლება გამოწვეული იყოს ზემოთ აღწერილი ინტერვიუს პროცესში არსებული სირთულეებით, თუ ეს ასეა, მაშინ ეს პრობლემაა, რადგან სტუდენტებმა უნდა მიიღონ კონსულტაცია სწავლასთან და მათ განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტური თვითმმართველობა, მაგრამ მედიცინის სტუდენტები არ არიან მასში ჩართული, რადგან მათი უმრავლესობა საქართველოში არ იმყოფება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან,

აკადემიურ პერსონალთან, ტუტორებთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან და სტუდენტებთან

- სტუდენტების ელექტრონული პორტალი (ელექტრონული სწავლა)
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი - <https://www.unik.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა და დიდი ხანი არაა, რაც ისინი პროგრამაზე ჩაირიცხნენ, პროგრამის ზოგიერთი ელემენტის შესახებ გარკვეული გაუგებრობა არსებობდა. კერძოდ, როგორც ჩანს, შეფასების პროცესის გასაჩივრების სისტემაზე შეზღუდული გაგება არსებობდა, რაც ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდა, როგორც მთლიანი არსებული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- იმ რთული დასაწყისიდან გამომდინარე, რაც ყველა პირველკურსელ სტუდენტს ჰქონდა სწავლის დაწყებისას, სკოლამ უნდა განიხილოს დამატებითი აკადემიური და პასტორალური მხარდაჭერის შეთავაზება დამატებითი საჭიროებებისთვის. ეს უნდა მოიცავდეს მათი სასწავლო პროგრამების კოორდინაციას, რათა ინტეგრირდეს კამპუსში მყოფი სტუდენტი და ისინიც, ვისზეც გვითხრეს, რომ ძალიან მალე ჩამოვლენ.
- თუ ვერ შესრულდა გეგმა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამჟამად ონლაინ რეჟიმში სწავლობენ და ჩამოსვლას აპირებენ მარტის ბოლოს/აპრილის დასაწყისში, მაშინ სკოლამ უნდა განიხილოს პროგრამაში არსებული მობილობის ვარიანტების გამოყენება, რათა ერთადერთ სტუდენტს შესთავაზოს სხვა დაწესებულების სტუდენტებთან ერთად კამპუსში სწავლის შესაძლებლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p> <p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები:</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტთა დასახმარებლად საჭირო კომპეტენციები;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება იგი პირადად არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში;

- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

149 აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის: 31 აკადემიური და 118 მოწვეული პერსონალი. სულ 11 პროფესორია და მხოლოდ 3 მათგანია აფილირებული. აკადემიურ პერსონალის შემადგენლობაშია 13 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 2 აფილირებული და 7 ასისტენტ-პროფესორი, მათ შორის 1 აფილირებული.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი „პერსონალის შერჩევის წესის“ შესაბამისად. პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრავს სამსახურში მიღების პროცედურებს, ხოლო სამუშაო აღწერილობები განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა გვითხრეს, რომ ყველა სამუშაო აღწერილობა არ არის ხელმისაწვდომი თანამშრომლებისთვის და მათ, ვინც მიიღეს ისინი, ვერ აღწერეს, თუ რა იყო მათი მოვალეობები. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეფერხება მათ მიერ სწავლების უზრუნველყოფაში მათი ვალდებულებების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია სამუშაოს აღწერილობაში. გარდა ამისა, ვიზიტების დროს ცხადი გახდა, რომ ზოგიერთი ტუტორი და ასევე ზოგიერთი კლინიკური მასწავლებელი, რომლებიც იმყოფებოდნენ ვიზიტზე, არ საუბრობდნენ ინგლისურად.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში დასაქმდა 22 აკადემიური პერსონალი და 101 ახლად მოწვეული თანამშრომელი. მათ შორის, ვინც დატოვა დაწესებულება 8 აკადემიური და 18 მოწვეული პერსონალია. ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესთან. კვალიფიციური პერსონალი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას შესაბამისი დიპლომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით და აღინიშნა, რომ სილაბუსების მიხედვით აკადემიური პერსონალის ზოგიერთ წარმომადგენელს უწევს 12-ზე მეტი სასწავლო კურსის ჩატარება, რაც წარმოადგენს რისკს პროგრამის აკადემიური მდგრადობისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის ნახევარზე მეტი დაქირავებულია თბილისიდან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უფასო ტრანსპორტირებას და თანამშრომლები ამბობენ, რომ მზად არიან იმგზავრონ კვირაში 2-3 დღე, თუმცა, ამ გეგმაში არის თანდაყოლილი რისკი, რამაც შეიძლება გაართულოს სასწავლო პროცესი. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმეტესობა თბილისიდანაა და სხვა უნივერსიტეტებთან არის აფილირებული. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ არსებობდეს პროგრამის

პროგრესისა და მდგრადობის რისკი. გასაუბრებების დროს კლინიკურმა ხელმძღვანელებმა ვერ აღწერეს მათი სამუშაო აღწერილობა.

ქუთაისის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ახორციელებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესს“. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა გამოითვლება პროგრამის სასწავლო ძირითად დარგში სავალდებულო სასწავლო კურსების საათებით და პროგრამაში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს საკმარისი რაოდენობის კლინიკური სწავლების პერსონალის ყოლის საჭიროება, რომელსაც შეუძლია ინგლისურად ასწავლოს, მაშინ მეთოდოლოგიის პროცესში ინგლისური ენის ცოდნის, როგორც ინდიკატორის, დამატება, დაგეხმარებათ ამის მართვაში.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ასევე არის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი და მდიდარი პრაქტიკული მუშაობის გარდა აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. ასევე თანადირექტორს, მოწვეულ ლექტორს ქუთაისის უნივერსიტეტში, აქვს 6 წლიანი კლინიკური გამოცდილება და 2013 წლიდან მუშაობს განათლების, როგორც საგანმანათლებლო, ასევე ხარისხის განვითარების სფეროში. ორივეს ასევე აქვს ვალდებულებები სხვა უნივერსიტეტების მიმართ და არსებობს თანდაყოლილი რისკი, რომ სტუდენტთა რიცხვის გაზრდისას სამუშაო დატვირთვა ასევე გაიზრდება.

გარდა ამისა, პროგრამის მენეჯერებს ეხმარებიან პროგრამის განახლებასა და განვითარებაში. ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი ასევე ჩართულია დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, პროცესების ადმინისტრირებისა და სტუდენტების მომსახურების მიზნით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში. პერსონალის ჩართულობა დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შესაფასებლად ჩატარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვაც.

პერსონალთან შეხვედრისას ცხადი გახდა, რომ განათლებისა და ტრენინგის თანამედროვე მიდგომების საბაზისო ტრენინგის მიუხედავად, ფაკულტეტის ყველა და მოწვეული პერსონალმა არ იცოდა ამ სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების პრინციპები. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმ პერსონალს, რომლებიც სწავლებას განხორციელებენ კლინიკურ გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ გვითხრეს, რომ ჩატარდება დამატებითი ტრენინგები, მცირე დეტალური ინფორმაცია იყო წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ როგორ

განხორციელდებოდა ეს და როგორ დაეხმარებოდნენ პერსონალს ამ მეთოდების გამოყენებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- სამტატო ნუსხა/ კურსის ხელმძღვანელები
- ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია
- ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მათ კვალიფიკაციას
- პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- პერსონალის კვლევები
- მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი 2022 წლისთვის.
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.unik.edu.ge/>
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- საჭიროა სამუშაო პროგრამა პერსონალის განვითარების ცხრილის შექმნასთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლინიკური სწავლების სტანდარტებისა და შეფასებების თანმიმდევრულობა, რომელსაც ახორციელებს მთელი პერსონალი, მათ შორის ის თანამშრომლებიც, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ კლინიკურ გარემოში.
- ლოჯისტიკურად რთულია მასწავლებლებისა და მოწვეული პერსონალის დაქირავების არსებული გეგმა, რადგან ისინი თბილისში მუშაობენ და სწავლებისთვის რეგულარულად მოუწევთ ქუთაისში მგზავრობა. ეს თავიდანვე სარისკოა, მით უმეტეს სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში. რისკების შეფასება მკაფიოდ განსაზღვრული შემარბილებელი ქმედებებით უნდა ხორციელდებოდეს და ყოველწლიურად განიხილებოდეს მიმდინარე გეგმის ნებისმიერ აუცილებელ ცვლილებასთან ერთად.
- სტუდენტები დაკავშირებულნი უნდა იყვნენ კლინიკური სწავლების სფეროებთან, სადაც არის საკმარისი რაოდენობის საგნის სპეციალისტი პედაგოგი და ზედამხედველი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად კომუნიკაცია.
- მდგრადი გეგმის მისაღწევად, რომელიც შეესაბამება საკმარისი კვალიფიციური (მათ შორის ინგლისური ენის მცოდნე) პერსონალის დასაქმებას სტუდენტების რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან ერთად, ქუთაისის უნივერსიტეტმა მეთოდოლოგიის პროცესში, რომელიც მას გააჩნია პერსონალის რაოდენობის გამოსათვლელად, უნდა შეიტანოს ინგლისური ენის ინდიკატორები.

- პედაგოგების და ზედამხედველების როლი და ფუნქციები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გაზიარებული შესაბამის პერსონალთან, რათა მათ შეძლონ მათთვის განსაზღვრული ფუნქციის შესრულება - დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის უნარებისა და კომპეტენციების მიღწევაში.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სტუდენტების რაოდენობისა და მასშტაბის მატებასთან და შესაბამისად, ჩართული კლინიკური პედაგოგების რიცხვი ზრდასთან ერთად, სასურველია, რომ სწავლების თანამედროვე მიდგომებში მიმდინარე ტრენინგის განხორციელება და წარმატება შეფასდეს თვითშეფასების/რეგულარული საჭიროებების შეფასებების პროცესის მეშვეობით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება რამდენიმე კუთხით;

1. მათი **კვლევითი აქტივობების** საფუძველზე (შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი), რომელიც განსაზღვრავს ყველა პერსონალის მინიმალურ მოთხოვნას კვლევის განსახორციელებლად მიმდინარე ქულების მიხედვით. ამასთან დაკავშირებულია ანაზღაურების წესიც. პირველად პროცესი განხორციელდა 2020-2021 სასწავლო წელს. კვლევის შედეგები აღირიცხება აკადემიური პერსონალის კვლევის წლიურ ანგარიშში.
2. მათი საერთო **აკადემიური შესრულებიდან** გამომდინარე მაგ., სწავლების უნარები, კომუნიკაციის უნარები, გუნდური მუშაობა, კმაყოფილება და ა.შ. და შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა შეგროვებაზე და ახორციელებს სხვადასხვა გამოკითხვებს SurveyMonkey-ის გამოყენებით, რათა უზრუნველყოს მონაცემთა ანალიზი, რომელიც მოიცავს რეიტინგის პროცესს.
3. აუდიტორული აქტივობების საფუძველზე, რომელსაც ხელმძღვანელობენ ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფები (შპს ქუთაისის უნივერსიტეტის **აუდიტორული შესრულების** შეფასების პროცედურები). (დამტკიცებული უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბერის Nმ17 ბრძანებით). პერსონალის ცალკეული წევრები იღებენ უკუკავშირს პირადად ამ პროცესის ფარგლებში და მიმართულების მენეჯერები ჩართულნი არიან დისკუსიაში. ტრენინგის გამოვლენილი ნებისმიერი საჭიროება იგზავნება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრში, რომელსაც ევალება პროფესიული განვითარების პროგრამების მორგება საჭიროებებთან.

მონაცემები ასევე გაანალიზებულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებით, რაც ასევე ეხმარება დროთა განმავლობაში პროგრამის შემუშავებისა და მიწოდების დაგეგმვის პროცესის ინფორმირებას.

შემუშავებულია პერსონალის მომზადების პროგრამა და მიწოდებულია საწყისი პროგრამებით თანამედროვე საგანმანათლებლო და შეფასების პრინციპებზე, თუმცა საჭირო იქნება დამატებითი ტრენინგი, განსაკუთრებით შემოთავაზებული კლინიკური შეფასებების უახლესი ტიპებისთვის, მაგ. DOPS/MinCEX და ა.შ. და ეს ტრენინგი უნდა მოიცავდეს კალიბრაციის აქტივობებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ პერსონალი იყოს

საკმარისად კვალიფიცირებული, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა როგორც სწავლებაში, ასევე შეფასებებში კლინიკური სწავლების ყველა ლოკაციაზე.

ასევე არსებობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც ეწევა გრანტების მოძიებას, ერთობლივი კვლევის, კონფერენციების, კონკურსებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე ახორციელებს პერსონალის მომზადებას. კერძოდ, პერსონალის ტრენინგი კვლევის მეთოდოლოგიასა და კვლევის უნარებში დაიწყო ბოლოს განხორციელებული პროგრამით, რომელიც ჩატარდა 2 კვირის განმავლობაში 8 საათიანი დატვირთით და რომელსაც ესწრებოდა 14 აკადემიური პერსონალი. კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ექსპერტი სპიკერის მიერ ჩატარდა შემდგომი ტრენინგი თემაზე: „თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის ეთიკის ნორმები“. დაგეგმილია მსგავსი ტიპის ღონისძიებები. თუმცა, მიუხედავად მოლოდინისა, რომ ყველა თანამშრომელი სტუდენტებთან ინგლისურად ურთიერთობს, ალბათ სამწუხაროა, რომ პერსონალის ყველა ტრენინგი, რომელიც აქამდე ჩატარდა, უზრუნველყოფილი იყო ქართულ ენაზე. ეს წარმოადგენს დაკარგულ შესაძლებლობას პერსონალისთვის, ივარჯიშონ და გააუმჯობესოს ინგლისური ენის ცოდნა, განსაკუთრებით სამედიცინო განათლებისა და კვლევის ტექნიკურ ენობრივ ელემენტებში.

ყველა თანამშრომელს ხელი მიუწვდება საბიბლიოთეკო რესურსებზე (ელექტრონული ბიბლიოთეკა) და სხვა პროგრამებზე, როგორცაა, მაგალითად, Coursera. არსებობს 2 მიმდინარე ერაზმუსის დაფინანსებული პროგრამა და სხვა მოსალოდნელი საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის შემდგომ აკადემიურ განვითარებას (მაგ. ქუთაისის უნივერსიტეტი ახლა AMEE-ს წევრია).

ქუთაისის უნივერსიტეტს ასევე აქვს საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციების წარმართვის გამოცდილება მაგ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "სწავლების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიური მიღწევები უმაღლეს განათლებაში" (IMTTAHE 2020), რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოდან, პორტუგალიიდან, რუმინეთიდან, ჩინეთიდან, მალაიზიიდან და ინდოეთიდან. 2021 წლის დეკემბერში მოეწყო შემდგომი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ინოვაციები, ტექნოლოგიები და განათლება" (ICETI 2021) და ეს იყო ერთობლივი თანამშრომლობა ქუთაისის უნივერსიტეტსა და ევროპის უნივერსიტეტს შორის, რომელიც შექმნილია სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების, სტუდენტის/მასწავლებლის შეფასების და ტექნოლოგიების გაუმჯობესებული სწავლების მიზნებისთვის. ყველა ამ ტიპის აქტივობა ხელს შეუწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას და სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის, ასევე ხელს შეუწყობს ქუთაისის უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესები
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აუდიტის შედეგები, შეფასების პროცედურები
- სხვადასხვა გამოკითხვის შედეგები
- კვლევის მხარდაჭერის ცენტრის ანგარიში 2020-2021 აკადემიურ წელს განხორციელებული საქმიანობების შესახებ.
- ტრენინგ-ცენტრის 2020-2021 აკადემიური წლის ანგარიში პერსონალის ინოვაციური ქოუჩინგის/ ტრენინგის მეთოდების შესახებ.
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.unik.edu.ge/>
- კონფერენციის ვებგვერდები - <https://imttahe.wixsite.com/imttahe> and <https://eu.edu.ge/ge/i-international-conference-education-technology-and-innovation-iceti-2021>

რეკომენდაციები:

- შემდგომი ტრენინგი კლინიკურ შეფასებებში (DOPS/MinCEx და ა.შ.) უნდა ჩატარდეს სწავლების მონიტორინგის ეფექტური მიდგომის შემუშავებასთან ერთად, განსაკუთრებით პროგრამის განხორციელების პირველ წლებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- იმისათვის, რომ მთელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გაიზიაროს სწავლების სტანდარტების დაცვის აუცილებლობა, რაც საჭიროა პროგრამის წარმატებით წარმართვისთვის, შეიძლება სწავლების კოლეგიალური განხილვის სისტემის შემოღებაც.
- იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების სწავლების ენა არის ინგლისური, უნდა მოხდეს პედაგოგებისა და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობის განხილვა, პერსონალის ყველა ტრენინგის ინგლისურ ენაზე ჩატარების გზით.
- მისასაღებელია ქუთაისში კვლევითი დაწესებულების შექმნის განზრახვა, რომელშიც ჩართულნი იქნებიან პერსონალი და სტუდენტები. თუმცა იმ საგნების სფეროების ყურადღებით განხილვამ, რომლებიც, სავარაუდოდ, სწრაფად განვითარდება, შეიძლება „გზა გაჭრას" და ამით წაახალისოს მთელი პერსონალი აქტიური მონაწილეობა მიიღოს კვლევის განვითარებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ქუთაისის უნივერსიტეტმა თავიდანვე შექმნა ამბიციური გეგმა, რომ ხელი შეუწყოს კვლევებს, როგორც უნივერსიტეტის ძირითად ნაწილს. მათ სურთ, აღქმული იყვნენ, როგორც კვლევითი დაწესებულება, რომელშიც კვლევის განვითარება,

თანამშრომლობა და გავლენა ახალი პროგრამის ფუნდამენტური ნაწილია. მათ დანერგეს პროცესი, რათა წახალისონ მთელი პერსონალი, გამოთქვან იდეები კვლევითი პროექტებისთვის და შექმნან სარეზერვო გეგმები ამ განვითარების დაფინანსებისთვის, თუ საწყისი ბიუჯეტები არასაკმარისი იქნება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.3 მატერიალური რესურსები

- პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ტრენინგ-კურსები ტარდება ქუთაისის უნივერსიტეტის შენობაში (ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა N13). თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის მოწყობილია კომპიუტერთ, კონდიციონერთ, პროექტორით, დაფით აღჭურვილი საკლასო ოთახები. გამოყოფილია, ასევე, საკონფერენციო და საბიბლიოთეკო დარბაზები. უნივერსიტეტში კომპიუტიზირებულია საგამოცდო ოთახები, ასევე მოწყობილია კარგად აღჭურვილი სამუშაო ოთახები პერსონალისთვის.

მედიცინის ფაკულტეტზე შექმნილია სიმულაციური ცენტრი სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს

პრაქტიკული/კლინიკური უნარები ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის საშუალებით. არის 8 ოთახი, რომელიც მოიცავს: გინეკოლოგიურ, ქირურგიულ, ტრავმატოლოგიურ, გადაუდებელი დახმარების, პედიატრიულ, პირველადი დახმარებისა და თერაპიის ოთახებს. ყველა მათგანი აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის სიმულატორებით და ტრენინგ-მასალებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით 11 სტუდენტისთვის არ არის ბევრი საკმარისი ადგილი, რადგან ზოგიერთი ოთახის შუაში არის დიდი, ფიქსირებული სკამი/მაგიდეები, გადაადგილებისთვის მცირე სივრცით, იმ შემთხვევაში თუ ოთახები სრულად არის დაკავებული. ზოგიერთ შემთხვევაში, გირჩევდით ჯგუფების გაყოფას, თუ ამის შესაძლებლობა იქნება. უფრო მეტიც, შეზღუდულმა /არასაკმარისმა სივრცემ, შესაძლოა, პრობლემები გამოიწვიოს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში.

უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო ლაბორატორიები პრაქტიკული და ლაბორატორიული უნარების განვითარების მიზნით. ქიმია-ბიოქიმიის, იმუნოლოგია-მიკრობიოლოგიის და ფიზიოლოგიის ლაბორატორიებში, ჰისტოლოგია-პათოლოგიის კაბინეტში სტუდენტები იმაღლებენ თეორიულ ცოდნას. ისევ აღსანიშნავია, რომ ამჟამად ეს ოთახები მოწყობილია 11 სტუდენტისთვის სივრცის უზრუნველსაყოფად.

ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგიით სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისა და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა და ამოქმედდა ვირტუალური ლაბორატორია.

მომდევნო წელს დამატებითი თანხები მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვას.

უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულებები ძირითადად ქუთაისის საავადმყოფოებთან/კლინიკურ ცენტრებთან. მათ უკვე გააფორმეს გარკვეული ხელშეკრულებები აფილირებულ კლინიკებთან, რაც კარგია. თუმცა, ინტერვიუების დროს ცხადი გახდა რომ ზოგიერთი აფილირებული ცენტრი კვლავ იღებდა სტუდენტებს სხვა დაწესებულებებიდან. სასარგებლო იქნება, თუ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ კონტრაქტების შესრულებას.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროგრამის სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სახელმძღვანელოების ბეჭდური და ელექტრონული ვერსიებით. ელექტრონული კატალოგი ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მოიძიოს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა, ინფორმაცია წაშლილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე, თუ როგორ გადაეცემა საფონდო ერთეული ბიბლიოთეკას: ნაბეჭდი, ელექტრონული თუ ორივე სახით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი Open Biblio, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://unik.edu.ge/Library/72>.

პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, რომელთა წვდომა შესაძლებელია როგორც

უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბიბლიოთეკის განყოფილებაში. მონაცემთა ბაზების გამოყენებისთვის აუცილებელია რეგისტრაცია/ანგარიშის შექმნა მოხდეს უშუალოდ მონაცემთა ბაზაში. საბიბლიოთეკო რესურსებითა და ელექტრონული, სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ, უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ინფორმირებულნი არიან შეხვედრებითა და ელექტრონული ფოსტით. ბიუჯეტში გამოიყო თანხები მედიცინის ფაკულტეტის პროგრამის წიგნების შემდგომი შევსებისა და ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობისთვის.

უნივერსიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შეიქმნა შესაბამისი ადაპტირებული გარემო, კერძოდ, შენობის შესასვლელთან არის ლიფტი, პანდუსები, პირველ სართულზე ადაპტირებული ტუალეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ქუთაისის უნივერსიტეტის შენობა: აუდიტორიები, კომპიუტერული საგამოცდო ოთახები, ოფისი, ლაბორატორიები, სიმულაციის ცენტრი
- ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები
- მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი 2022 წლისთვის
- ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://unik.edu.ge/Library/72>
- საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული მონაცემთა ბაზები: <https://unik.edu.ge/Library/73>
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.unik.edu.ge/>
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- უნივერსიტეტში არსებული ობიექტები ამჟამად საკმარისია სტუდენტების მცირე რაოდენობისთვის, თუმცა ინფრასტრუქტურის გაფართოება და განვითარების დაგეგმვა უნდა მოხდეს სტუდენტების მზარდი რაოდენობის (წლიური მიღება - 100) გასამკლავებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პროცესი განხორციელდა ზემოაღნიშნული დოკუმენტისა და უნივერსიტეტში მოქმედი პროცედურების შესაბამისად. ქუთაისის უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესი დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტის შედგენის პროცესში უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ განყოფილებას აქვს უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრულ ფინანსურ ლიმიტებზე, მათი უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში პროგრამის მენეჯერთან ერთად მონაწილეობს ფაკულტეტის დეკანი.

ბიუჯეტის ხარჯები განხორციელებადია, რადგან მას მხარს უჭერს ფაკულტეტი და უნივერსიტეტი და უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავალებით. თუმცა, ბიუჯეტის შესრულება შეიძლება იყოს პრობლემური იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი არ მოიზიდავს საკმარის სტუდენტებს. ქუთაისის უნივერსიტეტის აქციონერმა ევროპის უნივერსიტეტმა გამოთქვა მზადყოფნა, გამოეყოფა დამატებითი თანხები ნებისმიერი გადაუდებელი შემთხვევის დროს, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის პროგრამის მდგრადობას.

მედიცინის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან ხარჯებს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ლაბორატორიული ხარჯების/პრაქტიკული ცენტრების დასაფინანსებლად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაფინანსება და ელექტრონული სისტემების გაუმჯობესების ხარჯები უნივერსიტეტისთვის მომგებიანი იქნება სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასევე შედის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერნაციონალიზაციისა და კარიერის მხარდაჭერის ღონისძიებების ხარჯები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკა და პროცედურები
- მედიცინის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> შესაბამისობაში ბამისობაში

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

<p>5.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა</p> <p>➤ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს მკაფიო და კარგად დოკუმენტირებული მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ. მოწოდებული მტკიცებულება მოიცავდა ყველა შესაბამის ასპექტს, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დეტალურ აღწერას და მათ ერთმანეთთან დაკავშირებას, არამედ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში გამოყენებულ ინსტრუმენტებს. ყველა პროცესი დაფუძნებულია 6 ძირითად პრინციპზე: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა და მოქმედებს PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლის გამოყენებით, რომელიც თვითშეფასების ანგარიშში დაკონკრეტებულია როგორც "გეგმა, განხორციელება, შემოწმება, განვითარება"</p>

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა მიიღო პირობითი აკრედიტაცია მხოლოდ 2 წლით, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა განაახლოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში კურიკულუმის შემუშავებისა და მიწოდების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით და ამგვარად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წვლილი კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა ამის მიღწევაში. პროგრამის ყველა ასპექტი განხილულ და შეფასებულ იქნა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის შეხედულებების ფართო სპექტრის საფუძველზე და ყველა შედეგის გაზიარება მოხდა მათთვის, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. შემდეგ შედეგები გაეგზავნა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რათა მათ საშუალება მისცემოდათ მოეხდინათ რეაგირება პრობლემების გადაჭრით და ასევე საკუთარი იდეების გენერირებით მომავალი განვითარებისთვის.

დაინტერესებული მხარეების მიერ შემოთავაზებული ცვლილებების მაგალითები იყო დამსაქმებლების მოთხოვნა, რომ საერთაშორისო სტუდენტებმა უნდა ისწავლონ ქართული ენა პაციენტებთან და კლინიკების პერსონალთან კომუნიკაციისთვის და რომ გაძლიერებული კლინიკური უნარების სწავლება საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს გახდნენ უფრო ეფექტური ექიმები, როდესაც ისინი დაიწყებენ მუშაობას კლინიკებში. ორივე ეს რჩევა გათვალისწინებული იქნა კურიკულუმის ახალ დიზაინში.

ფაკულტეტი განიხილავს პორტფოლიოს დანერგვას როგორც სწავლისა და რეფლექსიური პრაქტიკის მხარდაჭერ, ასევე შეფასების ინსტრუმენტს. საჭირო იქნება ფაკულტეტმა მჭიდროდ ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, რათა დარწმუნდეს, რომ პორტფოლიოში შეგროვებული (და შეფასებული) მონაცემები შესაბამისია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან, რომლებიც ეყრდნობა ამ მონაცემებს, როგორც მთლიანი პროგრამის წარმატების განუყოფელ საზომს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა და პროგრამის დანართები
- კურსის სილაბუსები
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინა აკრედიტაციის მიმოხილვა 2019-2020 აკადემიური წლისთვის
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.unik.edu.ge>.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის საბჭოს N2 რეზოლუციით 2020 წლის 2 ოქტომბერს)
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №36 ბრძანებით)

- ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემაჯამებელი ცხრილი
- ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით
- პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა გამოკითხვა (ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა) შეხედულებები და ასევე შედეგები
- შეფასების შედეგებისა და რეაგირების აუდიტი
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- გარდა სტანდარტ 2.5-ში პორტფოლიოს შემოთავაზებისა, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ჩართული იყოს პორტფოლიოს განვითარების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს პორტფოლიოს ფარგლებში შეგროვებული მონაცემების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, რომლებიც ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, არის ყოვლისმომცველი, კარგად ორგანიზებული და მომავალზე ორიენტირებული.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

➤ პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტმა ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შემუშავება წინა მიმოხილვისას, რასაც მოყვა ორწლიანი აკრედიტაცია, გაკეთებულ რეკომენდაციებს დააფუძნა. გადადგმული ნაბიჯები:

- კურიკულუმის განახლება და შეფასების პროცესები მიმდინარე საუკეთესო პრაქტიკის მიდგომებით;
- ახალი პერსონალის დანიშვნა (სხვადასხვა ტიპის განათლებითა და გამოცდილებით) და მათი ჩართვა დაგეგმვის პროცესებში;
- საერთაშორისო თანამშრომლობის მოძიება, რომელსაც შედეგად მოყვა მემორანდუმი გაფორმება 21 უნივერსიტეტთან 14 ქვეყანაში (მათგან 10-ს აქვს სამედიცინო განათლების პროგრამები);
- ინოვაციური მეთოდების სასწავლო ცენტრის გამოყენება არსებული და ახალი პერსონალის „სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში“ და „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებაში“ მოსამზადებლად. დაგეგმილია უფრო მეტი აქტივობაც;
- მემორანდუმის მომზადება 2020 წლის ოქტომბერში ერთი წლის განმავლობაში ამერიკული კვლევების ცენტრთან, პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით;
- თურქეთის 2 საერთაშორისო ექსპერტისთვის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და ანგარიშის მომზადების შეკვეთა;
- მონაწილეობა Bologna Hub Peer Support პროექტში.

გარდა ამისა, ქუთაისის უნივერსიტეტმა ასევე შეადარა თავისი პროგრამა სხვა პროგრამებს საქართველოში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ასევე 2 საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებს (მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი ტირგუ მურესი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, რუმინეთი და ნოვას უნივერსიტეტი, პორტუგალია). შედარებითი ანალიზი ფოკუსირებული იყო კურსის შესწავლაზე, პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსზე, თავისებურებებზე, ინოვაციებსა და განმავითარებელ კომპეტენციებზე. ამ შედარებებით გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო სფერო და ახლა უკვე დანერგულია;

- გაიზარდა და გაძლიერდა PBL- (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) კომპონენტის გამოყენება სასწავლო გეგმაში (როგორც სასწავლო, ასევე შეფასების მიზნებისთვის)
- ზოგიერთი საგნობრივი სფერო გაერთიანდა ან შესაბამისობაში მოვიდა სხვებთან
- შემუშავდა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის კარიერული განვითარების ტრენინგს

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ცვლილება განხორციელდა, დაგეგმილია რეგულარულად შედარებისა და გარე მოსაზრებების მოძიება, რათა მუდმივად შენარჩუნდეს პროგრამის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა და პროგრამის დანართები
- კურსის სილაბუსები
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინა აკრედიტაციის მიმოხილვა 2019-2020 აკადემიური წლისთვის.
- ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გარე და კოლეგიალური მიმოხილვის ანგარიში. 2021 წლის ივნისი
- ექსპერტთა ბიოგრაფიები <https://www.researchgate.net/profile/S-Ayhan-Caliskan>
<https://www.researchgate.net/profile/Aysen-Melek-Kosan-Aytug>
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.unik.edu.ge>.
- ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემაჯამებელი ცხრილი
- ფაკულტეტი და მოწვეული პერსონალი: სტუდენტთა თანაფარდობის კალკულაცია
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა გამოკითხვა (ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა) შეხედულებები და ასევე შედეგების ანგარიში
- მონაწილეობა Bologna Hub Peer Support პროექტში. <https://www.esu-online.org/?project=bologna-hub-peer-support>
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ურთიერთობები, რომლებიც ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში და განსაკუთრებით ევროპის უნივერსიტეტში, შეიძლება იქნეს გამოყენებული პროგრამის განვითარებისა და განხორციელების რჩევების მისაღებად. ზოგიერთი უფროსი კოლეგის მოწვევა პროგრამის „გარე შემფასებლად“ შესაძლებელს გახდის რეგულარულ ზედამხედველობას და გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებას, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებისა და გაანალიზების გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტმა აჩვენა, რომ მათ აქვთ კარგად დაგეგმილი პროცესები მათი პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული განხილვისთვის და რომ ეს პროცესები არის

თანამშრომლობითი ყველა ძირითადი დაინტერესებული ჯგუფის ჩართულობით. გამონაკლისი არის კურსდამთავრებულების ნაკლებობა, თუმცა მცდელობა იყო გამოყენებულიყო სხვა პროგრამის კურსდამთავრებულებისგან არსებული ინფორმაცია და მონაცემები, როგორც შუალედური ღონისძიება, სანამ მედინიცის პროგრამის კურსდამთავრებულები გახდებიან ხელმისაწვდომი. ყველა საჭირო ხელმისაწვდომი მონაცემი გროვდება და იკრიბება რეგულარულად, სანამ გაანალიზდება და წარედგინება ფაკულტეტისა და სკოლის ხელმძღვანელობას ადრეული განხილვისთვის, რის შემდეგაც იგი კასკადურად გადაეცემა სხვებს.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სწავლის შედეგების, მიღწევებისა და წინა 3 წლის მონაცემების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით შეფასებით, ექვემდებარება მონიტორინგს, რათა შესაძლებელი გახდეს ტენდენციების, ისევე როგორც ცალკეული სტუდენტების პრობლემების იდენტიფიცირება. პროგრამის ანალიზზე დაფუძნებული ნებისმიერი წინადადება ასევე ფართოდ არის გაზიარებული და იქმნება საკომუნიკაციო რგოლი, რათა თანამშრომლებსა და სტუდენტებს აცნობოს ამ მიმოხილვის შედეგები.

არსებობს ფორმალური კომიტეტის სტრუქტურა, სადაც ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემების, ინფორმაციისა და ანგარიშების გაზიარება. კერძოდ, ეს არის მმართველი ორგანო და პროგრამის კომიტეტი, სადაც ორივე ეს კომიტეტი შედგება უფროსი ფაკულტეტის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის წარმომადგენლებისგან. გვითხრეს, რომ ისინი ხშირად იკრიბებიან, რათა განიხილონ პროგრესი და პრობლემური სფეროები, თუმცა ეს შეხვედრები იმართება "როგორც და როცა საჭიროა". მმართველი ორგანო და პროგრამის კომიტეტი განუყოფელი ნაწილია ყველა ინსტიტუციური და პროგრამული მოთხოვნის შესასრულებლად და სტანდარტების მისაღწევად, უფრო მიზანშეწონილია, რომ მათ ჰქონდეთ დაგეგმილი გრაფიკი, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ ინფორმაციის ნაკადი და გადაწყვეტილების მიღება მტკიცედ იყოს მორგებული აკადემიურ კალენდართან და სხვადასხვა „საყურადღებო პუნქტებთან“, როგორცაა სტუდენტების პროგრესის შეფასების შედეგების დადასტურება.

ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის რეგულარულად შემოწმება ხდება უნივერსიტეტის მასშტაბით დადგენილი პოლიტიკის - „ქუთაისის უნივერსიტეტის აუდიტორული მუშაობის შეფასების პროცედურის“ გამოყენებით, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბერის ბრძანებით. შეფასების შედეგები ეგზავნება პროგრამების ხელმძღვანელს, პროგრამის მენეჯერებს და დეკანს რეაგირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, და თუ არის პროფესიული განვითარების საჭიროება. თუ ასეა, მოძიებული იქნება თანამშრომლობის პერსპექტივა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრთან, რომელიც, სავარაუდოდ, შესაბამის რეაგირებას მოახდენს ტრენინგის ამ იდენტიფიცირებულ საკითხებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა და პროგრამის დანართები
- კურსის სილაბუსები
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინა აკრედიტაციის მიმოხილვა 2019-2020 აკადემიური წლისთვის.
- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.unik.edu.ge>.
- ინოვაციური სწავლების მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის საბჭოს N2 რეზოლუციით 2020 წლის 2 ოქტომბერს)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №მ 36 ბრძანებით)
- ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემაჯამებელი ცხრილი
- ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით
- პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა გამოკითხვა (ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა) შეხედულებები და ასევე შედეგები
- შეფასების შედეგებისა და რეაგირების აუდიტი
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან

რეკომენდაციები:

- მმართველმა ორგანომ და პროგრამის კომიტეტმა უნდა დაამტკიცონ შეხვედრების უფრო ოფიციალური გრაფიკი (წლიური კალენდარი) თანმიმდევრული დროული ანგარიშგების სისტემებით, რათა უზრუნველყონ პროგრამის ეფექტური ზედამხედველობა და ადრეული ინტერვენციის შესაძლებლობა საკითხების გათვალისწინების გზით.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- o პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, განათლების საფეხური: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა (ინგლისურ ენაზე)


ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 59

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების ადეკვატური შეფასება			x	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		x		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფესორი მეირი სკოტი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ჯილდა ჭეიშვილი




სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირინე ფხაკაძე


სახელი, გვარი, ხელმოწერა

დოქ. ირაკლი გაგუა

Handwritten signature in blue ink on a light-colored background. The signature is written in Georgian script and appears to be 'ი. გაგუა'.

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დოქ. გიორგი აბულაძე

Handwritten signature in blue ink on a light-colored background. The signature is written in Georgian script and appears to be 'გ. აბულაძე'.

სახელი, გვარი, ხელმოწერა